ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2024 | No. 5, 80-104

ISSN2667-9825(online)

ვიზუალური ნარატივი: როგორ ეხმარება შემოქმედება მხატვრებს ემოციურ, ფსიქოლოგიურ, ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაში[1]

ნინო მწითური

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თათია დონღვანი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Visual Narrative: How Creativity Helps Artists Cope with Emotional, Psychological and Life Difficulties

Nino Mtsituri

Undergraduate student of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tatia Donghvani

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

[1] „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ხელოვნების ისეთი ასპექტების გარკვევა, თუ როგორ ეხმარებათ მხატვრებს მათი ხელობა ემოციურ, ფსიქოლოგიურ და ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაში. ამისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპით შერჩევაში შეირჩა 2 ქართველი მხატვარი. ინსტრუმენტებად გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ცხოვრების ნარატივის ანალიზისთვის და მათი ნამუშევრების ვიზუალური ნარატივის ანალიზი. შედეგად მივიღეთ მრავალასპექტიანი მასალა, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ზეგავლენს ახდენს ხელოვნება პიროვნების ფორმირებაზე, როგორ გარდაისახება მძიმე ცხოვრებისეული მოვლენები ნამუშევარში და როგორ ახდენს ნამუშევარი მხატვრის წარსულის მიღებასა და ფსიქო-ემოციური ფონის ცვლილებას.

საკვანძო სიტყვები: *მხატვარი, ვიზუალური ნარატივი, სახვითი ხელოვნება*

Abstract

The aim of the present research was to explore aspects of art that help artists cope with emotional, psychological, and life challenges. To achieve this, two Georgian artists were selected based on the principle of accessibility. The tools used included a semi-structured interview for the analysis of life narratives and the visual narrative analysis of their artworks. As a result, we obtained multifaceted material showing how art influences the formation of an individual, how difficult life events are transformed into artwork, and how the artwork contributes to the artist's acceptance of their past and the changes in their psycho-emotional state.

Key words: *Artist, visual narrative, visual art*

შესავალი

ISSN2667-9825(online)

წარსულის შესახებ ისტორიების თხრობა არის ადამიანის უნივერსალური საქმიანობა, დისკურსის ერთ-ერთი პირველი ფორმა, რომელსაც ვსწავლობთ ბავშვობაში და ვიყენებთ მთელი ცხოვრების განმავლობაში კაცობრიობის ყველა სოციალურ ფენასა და ყველაზე განსხვავებულ პირობებში. თხრობისკენ სწრაფვა იმდენად ბუნებრივია, რომ ინფორმაციის მიწოდების ეს ფორმა თითქმის გარდაუვალია ცოდნის სიტყვიერად გადმოცემის პრობლემის გადაწყვეტაში და გვაძლევს შესაძლებლობას, გადმოვცეთ რა მოხდა, როგორ ვრცელდებოდა მოვლენები (Riessman, 1993). ამავე დროს, ნარატივის ანალიზი ეყრდნობა ადამიანის გამოცდილების შესახებ ისტორიებს, იძლევა რა მდიდარ საყრდენს, რისი საშუალებით მკვლევრებს შეუძლიათ შეისწავლონ, როგორ აღიქვამენ ადამიანები სამყაროს, რომელიც ასახულია მათს ისტორიებში. ფრანგი ფილოსოფოსისა და ეგზისტენციალისტის ჟან პოლ სარტრის (1964) სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები ყოველთვის ჰყვებიან ზღაპრებს. ისინი მუდმივად ცხოვრობენ თავიანთი და სხვების ისტორიების გარემოცვაში. ადამიანები ყველაფერს იმ ისტორიების მეშვეობით ხედავენ, რომლებიც მათს თავს ხდება და ცდილობენ, იცხოვრონ ისე, თითქოს ყოველივე ამას ჰყვებიან (Webster & Mertova, 2007). მეტინგლი (2002) მიიჩნევს, რომ ნარატივი არ განისაზღვრება მხოლოდ მისი შინაარსით, არამედ მას გააჩნია თავისი გადმოცემის სტილიც. წარმატებული ნარატივი მსმენელის გულს სწვდება და გადმოცემული მოვლენებისადმი ინტერესს აღვიძებს (ციტირებულია ხეჩუაშვილი, 2017).

ნარატიული მიდგომა გვაწვდის ახალ კონცეფციებს ადამიანის ცხოვრების საზრისისა და შინაგანი სტრუქტურის აღმოსაჩენად; გვეხმარება პიროვნების კვლევების რეკონტექსტუალიზაციაში კულტურის, სქესის, კლასის, ეთნიკური კუთვნილებისა და სოციალური ეკოლოგიის კუთხით (McAdams, 2006). ისტორიების გაზიარებით ჩვენ უფრო მეტს ვაკეთებთ, ვიდრე მხოლოდ წარსული მოვლენების თხრობაა. თანამედროვე საზოგადოებებში მცხოვრები ადამიანები თავიანთ ცხოვრებას უზრუნველყოფენ საკუთარი ინტერნალიზებული და განვითარებადი ნარატივების აგებით. ზოგადად, იდეა, რომ იდენტობა არის ცხოვრების ისტორია, ეხმიანება განვითარების, შემეცნების, პიროვნებისა და კულტურის ფსიქოლოგიის უამრავ მნიშვნელოვან თემას (McAdams, 2001).

ამბის ზეპირი ან წერითი თხრობა არ არის ადამიანის თვითგამოხატვის, ცოდნისა და გამოცდილების გადმოცემის ერთადერთი ხერხი. ამიტომ მართებული იქნება, ტერმინი „ნარატივი“ უფრო ფართოდ გავიგოთ. ადამიანები შინაგანი სამყაროს გაზიარებას სხვა არხებითაც ახერხებენ და ხელოვნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რადგან გვაძლევს საშუალებას, გამოვსახოთ ჩვენი თავი მუსიკაში (ბგერებით), ცეკვასა (მოძრაობებით) თუ ნახატში (ვიზუალიზაციით).

იდენტობის ფორმირების კვლევის ფარგლებში რუდმა (2009) ჩამოაყალიბა მუსიკისა და იდენტობის თეორია, რომლის თანახმად, მუსიკა შეიძლება გამოვიყენოთ და

ISSN2667-9825(online)

აღვიქვათ ისე, რომ შეგვეძლოს ადამიანის პოზიციონირება დროსთან, ადგილთან, სხვა ადამიანებთან ან ტრანსცენდენტურ ღირებულებებთან მიმართებით. ჰანა (Hanna, 2013) გვაჩვენებს, რომ ცეკვა ისევე გადმოსცემს იდეებს, ისტორიას, ემოციებსა და განწყობებს, როგორც პროზა და პოეზია. თავის მხრივ, მაკფი (McFee, 2011) უფრო სიღრმისეულად განიხილავს ცეკვის უნიკალურ ფილოსოფიას და გვეუბნება, რომ, როგორც ნარატივი, ის წარმოადგენს კულტურული ისტორიების ანარეკლს. ჩვენ კი გამოხატვის გზების ამ მრავალფეროვნებაში, გადავწყვიტეთ, ვიკვლიოთ ვიზუალი, როგორც ნარატივის გადმოცემის ერთ-ერთი მეთოდი.

ვიზუალური თხრობა გვხვდება სხვადასხვა ფორმით (მაგალითად, ფილმი, კომიქსი, ფოტოგრაფია, სარეკლამო რგოლები) და გამოიყენება სხვადასხვა მიზნით (მაგალითად, გართობისთვის, ინფორმირებისთვის, დაჯერებისთვის). ტექნიკური პროგრესი კი არასპეციალისტებს აძლევს შესაძლებლობას, იყვნენ როგორც ამ ყველაფრის, ანუ პროდუქტის, მომხმარებლები, ასევე, თავად შექმნან ის (Williams, 2019). თუ უფრო ჩავუღრმავდებით საკითხს, ვნახავთ, რომ ვიზუალური ნაწარმოები არანაკლებ მჭიდროდაა დაკავშირებული ნარატივისა და იდენტობის ჩამოყალიბების საკითხებთან. თავის წიგნში ჯონსი (2012) გვთავაზობს იდენტობის შესახებ იდეების ისტორიასა და თეორიას ევრო-ამერიკულ კულტურაში ვიზუალური ხელოვნების დისკურსებისა და პრაქტიკის კუთხით. თხრობა იწყება ადრეულ-თანამედროვე შეხედულებებით, რომ ხელოვნება არის ინდივიდის გამოსახულება, ხოლო დახატული სურათი — „მსოფლიოს სურათი“ და ვრცელდება იდენტობის პოლიტიკით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელოვნების სამყაროში და მის ფარგლებს გარეთ. ამ მხრივ, კარგად იკვეთება ვიზუალური ხელოვნების ყოვლისმომცველი ხასიათი, რომელშიც ჩანს იდენტობის საკითხებთან მჭიდრო კავშირი.

ვინაიდან, ერთი შეხედვით, ხელოვანი ქმნის „არაფრისგან რაღაცას“, შემოქმედების პროცესი შეიძლება, გვეჩვენოს ჯადოსნურ აქტად, მაგრამ ეს ასე არ არის. ყველა შემოქმედებითი პროცესის უკან დგას ერთი ძლიერი ფაქტორი, იდუმალი და მრავალმხრივი „გახსნილობა“. ტიპური მხატვრის გონებას აქვს უნარი, შეამციროს აზროვნება, გააფართოვოს განცდები, აღძრას მოტივირებული ქცევა და გააღვივოს სასარგებლო შინაგანი ქაოსი, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებას. კრეატიული ადამიანებისთვის გახსნილობა გამაერთიანებელი წებოა. ის კრავს შემოქმედებითი იმპულსის საფუძვლად მდებარე მდგომარეობებსა და პროცესებს. კვლევის თანახმად (Schultz, 2021), ამ პროცესების საკვანძო ცვლადი სწორედ ტრავმაა: მასალა, რომელთანაც მუშაობს მრავალი ხელოვანი. რომანებში, ლექსებში, თხზულებებსა და ფოტოგრაფიაში ტრავმა სიმბოლურად მეორდება და ფორმას სძენს მტკივნეულ სილამაზეს.

ტრავმასა და ხელოვნებას შორის კავშირი იმაშიც იკვეთება, რომ ტრავმირებული ადამიანების სამკურნალოდ, სხვა მეთოდებთან ერთად, ხშირად გამოიყენება

ISSN2667-9825(online)

არტთერაპია, რომელმაც უკვე დიდი ხანია, დაიმკვიდრა ადგილი ფსიქოლოგიური დახმარების სფეროში. ლიტერატურის სისტემატური მიმოხილვა (Schouten, Niet, Knipscheer, Kleber, & Hutschemaekers, 2014) ცხადყოფს, რომ არტთერაპიის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ფსიქოლოგიური ტრავმის სიმპტომები და დეპრესიის ნიშნები. შემოქმედებით საქმიანობას შეუძლია, დადებითად და სიღრმისეულად იმოქმედოს პიროვნებაზე, თუმცა ეს პროცესი ინტრაპიროვნულია (შინაგანია) და არ იძლევა დეტალურად დაკვირვების საშუალებას.

ტრავმისა და ტანჯვის აუცილებლობის შესახებ შეხედულება მხატვრების გარშემო ოდითგანვე არსებობს. დღეს უკვე, ფაქტია ისიც, რომ არტთერაპია, როგორც თერაპიული მიმდინარეობა, წარმატებულად მუშაობს სხვადასხვა სიმძიმის ფსიქოლოგიური სირთულის დაძლევის კუთხით (Schouten, Niet, Knipscheer, Kleber & Hutschemaekers, 2014). ამიტომ დავინტერესდით, რამდენად დაკავშირებულია მხატვრების ცხოვრებისეული გამოწვევები და მათი შემოქმედებითი საქმიანობა და შეიძლება თუ არა, ამ ყველაფერს ჰქონდეს თერაპიული გავლენა ინდივიდზე. კვლევის მიზანია, დავადგინოთ, როგორ ეხმარება მხატვარს შემოქმედებითი პროცესი პიროვნული საკითხების გადაწყვეტაში, ემოციებთან გამკვლავებაში, საკუთარი არსებითი შინაარსების კვლევასა და ღირებულებების გადაფასების პროცესში.

მეთოდი

კვლევის მონაწილეები

კვლევის მონაწილეების შერჩევა იყო არაალბათური, მიზნობრივი და ხელმისაწვდომობის პრინციპზე დამყარებული. შერჩევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო ზრდასრული ასაკი (18+) და მხატვრად ყოფნა. ცვლადები, როგორიცაა სქესი, ეროვნება და სხვა, გამორიცხვის კრიტერიუმებს არ წარმოადგენდა. კვლევაში მონაწილეობდა ორი მხატვარი: გოჩა, 24 წლის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი და ზურა, 50+ ასაკის მამაკაცი, რომელიც არის პროფესიონალი მხატვარი და ხატვის პედაგოგი.

ინსტრუმენტი

მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოვიყენეთ მაკადამსის (2001) ცხოვრების ისტორიის სტანდარტული ინტერვიუ, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ცხოვრების სათაურებად დაყოფა და რამდენიმე ძირითადი სცენის გამოყოფა, რომელთაც კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაემატა კითხვები. შეკითხვები შეეხო მხატვრის ცხოვრებაში არსებულ პიროვნულად ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებს, წარსულის გამოწვევებთან გამკლავების სტრატეგიებს და იმას, თუ რა გავლენა

ISSN2667-9825(online)

იქონია ამ ყველაფერმა მათ შემოქმედებაზე. ინტერვიუ ნახევრად სტრუქტურირებულია. ინტერვიუს საშუალებით გამოვლინდა ის ძირითადი კონსტრუქტები და სქემები, რომლითაც ეს ადამიანები მათ ირგვლივ არსებულ რეალობას, პროცესებს აღიქვამენ. იმავე მიზანს ისახავდა მხატვრების მიერ შესრულებული ნახატების ვიზუალური ნარატივის ანალიზიც, რომლისთვისაც გამოვიყენეთ რესპონდენტების მიერ შერჩეული ნამუშევრები.

პროცედურა

მოცემული კვლევისთვის რესპონდენტები შეირჩნენ ხელმისაწვდომობის პრინციპით. კონტაქტზე გასვლის შემდეგ, მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის საკითხის შესახებ და ინფორმირებული თანხმობის ფორმა (იხ. დანართი 1). რესპონდენტებს შევხვდით პირისპირ, მათთვის სასურველ დროსა და გარემოში. პარალელურ რეჟიმში ჩატარდა ორი ინტერვიუ: მხატვრის ცხოვრებისა და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრის შესახებ, რისთვისაც რესპონდენტს წინასწარ ვთხოვეთ, შეერჩია ასეთი ერთი ნამუშევარი (თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტის შემთხვევაში, ეს ასე არ მოხდა და მან მოგვაწოდა თავისი ხუთი ნახატი, რომელიც მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია). ინტერვიუს მიზნებიდან გამომდინარე არ იყო სავალდებულო ორიგინალი ნამუშევრის წარმოდგენა, შესაძლებელი იყო ასლის ან ფოტოსურათის ჩვენება. ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე საუბრის ნაწილში გამოვიყენეთ ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. შემდეგ ვთხოვეთ რესპონდენტებს, მოეყოლათ თავისი კონკრეტული ნამუშევრის შესახებ. ინტერვიუს მსვლელობისას საუბარი ჩავიწერეთ ხმის ჩამწერით, შემდგომ დავამუშავეთ ის, მოვამზადეთ ტრანსკრიპტები და გავაანალიზეთ.

კვლევის ეთიკა

ინტერვიუს დაწყებამდე თითოეულ რესპონდენტს გავაცანით კვლევის საკითხი, გავეცანით თავად, განვმარტეთ ეთიკური მხარე და წარვუდგინეთ ინფორმირებული თანხმობის ფორმა, რომელშიც წერილობით განმარტებული იყო, რომ კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი და ანონიმურია, რომ აქვს უფლება, ნებისმიერ დროს გამოეთიშოს კვლევას და უარი თქვას მონაცემის გამოყენებაზე. თანხმობის ნიშნით რესპონდენტებმა ხელი მოაწერეს აღნიშნულ დოკუმენტზე.

მონაცემთა ანალიზისადმი მიდგომა

ISSN2667-9825(online)

საბოლოოდ, კვლევას თან დავურთეთ გამოყენებული ნამუშევრები, მათი ვიზუალური ნარატივის ანალიზი, რომლისთვისაც გამოვიყენეთ წიგნი „ნარატიული მეთოდები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“ (Riessman, 2008) და მათთან დაკავშირებული აღწერები და ინტერპრეტაციები. ეს ყველაფერი კი გაანალიზებული და გაერთიანებული იქნა თვისობრივი მეთოდით იმ ინტერვიუებთან, რომლებიც წინასწარ ჩავატარეთ და რომელთა ნარატივის ანალიზი ასევე არის კვლევაში განხილული და დაგვეხმარა, შეგვეჯამებინა საკითხი საკვლევი კითხვის შესახებ, თუ როგორ ეხმარება შემოქმედება მხატვრებს ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაში.

შედეგები

ინტერვიუ ჩატარდა ორ მხატვართან მათ მიერ შერჩეულ დროსა და ადგილას – მათ სამხატვრო სახელოსნოში. ინტერვიუს და პასუხების გაცემის პროცესში ორივემ მოგვიყვა თავიანთ ისტორიებს, მოსაზრებებს და განიხილა შერჩეული ნამუშევრები, რომლებიც შემდგომ ელექტრონულად მოგვაწოდეს. ისტორიებში გამოიკვეთა როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები, რომლებიც დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ. აქ კი მოკლედ დაგიხასიათებთ რესპონდენტებს:

N1 რესპონდენტი არის ზურა სულაკაური და მისივე თხოვნით ვამხელთ მის ვინაობას. ის 50 წელს გადაცილებული დაოჯახებული კაცია, რომელიც ბავშობიდან ხატავს და ამჟამად თავის სტუდიაში, როგორც ხატვის პედაგოგი, ასწავლის ხატვას სხვა მსურველებს, ძირითადად, ბავშვებს.

N2 რესპონდენტი არის 24 წლის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ბიჭი, ცხოვრობს მშობლებთან. მან ხატვა დაიწყო 11 წლისამ.

ანალიზი

წინამდებარე შედეგების ანალიზი წარმოდგენილი იქნება ორ ნაწილად. პირველში შევა რესპონდენტების ამბების განხილვა, მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზით. მეორე ნაწილში ყურადღება დაეთმობა მოძიებულ ნამუშევრებსა და ვიზუალურ ანალიზს.

ცხოვრების ისტორია

ISSN2667-9825(online)

პირველივე, რაც გვხვდება თვალში, არის რესპონდენტების ნარატივების მსგავსება მათი ფორმის მიხედვით. თავდაპირველად ორივემ მცირედ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მიედინებოდა მათი ცხოვრება, მისცეს რა მთლიანობითი მონახაზი, თუმცა მალევე მათმა საუბარმა ქრონოლოგიური მსჯელობიდან გადაინაცვლა კატეგორიებზე, რომლებისგანაც შედგებოდა მათი ცხოვრება. სხვა სიტყვებით, მათი ცხოვრების ამსახველი „წიგნი“ დაიყო არა დროით ეპიზოდებად, არამედ შინაარსობრივად და ღირებულებების მიხედვით განსხვავებულ თავებად: სიყვარული, მეგობრობა, შეცდომები და ა.შ.

ზურას ნარატივი

საინტერესოა ის, რომ ზურა სულაკაურის შესახებ შეიძლება ითქვას: მისი საუბრის მანერა და ნამუშევრები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ნამუშევრების უმეტესობაში შეიგრძნობა სიურეალიზმის, როგორც მიმდინარეობის ზეგავლენა. თხრობის დროსაც, ის ხშირად პასუხობდა შეკითხვებს მეტაფორის, შედარების ან პარალელების მოყვანით, ხოლო საკუთარ ცხოვრებასა და თავზე საუბრისას გადაერთვებოდა სხვების ისტორიებზე. ის ყოფდა თავის ცხოვრებას თავებად, თუმცა შემდეგ ისევ უბრუნდებოდა ნათქვამს და აერთიანებდა მათ. როგორც ის ამბობს: როდესაც შემოქმედი ხარ, უნდა გახსნილი იყო, რაც კარგად ჩანს მის შემოქმედებაში, იმ ნახატებში, რომლებიც მან გამოარჩია, როგორც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

მხატვრობასა და ცხოვრებას შორის მჭიდრო კავშირი ყველაზე მეტად გამოიკვეთა ზურა სულაკაურის ნარატივში. მან შეადარა თავისი თავი და განვლილი ცხოვრება გურამ დოჩანაშვილის რომანის „სამოსელი პირველის“ გმირს, დომენიკოს და დაამატა „უძღები შვილის დაბრუნება“. ამაზე საუბრისას თავდაპირველად ზურამ ქრონოლოგიურად დაყო თავისი ცხოვრება სამ ნაწილად, თუმცა მერე გამოყო სხვა მნიშვნელოვანი თავები. თანმიმდევრობით ცხოვრების პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს ბავშვობიდან, რომელსაც სრულად უთმობს ხატვას. შემდეგ დგება პერიოდი, როდესაც დაახლოებით ათი წელი სტამბაში მენეჯერად მუშაობს, რაც, მართალია, კარგი შემოსავლის წყაროა მისთვის, თუმცა ამ დროს ხატვასთან არაფერი აკავშირებს. ხელოვნებასთან დაკავშირებით რესპონდენტი გულისხმობს, რომ საკუთარ თავს არ უძღვნის, არ დებს იმაში, რასაც აკეთებს და ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულით და ხარისხიანად აკეთებს ყველაფერს, არ განიხილავს ამას, როგორც მის საქმეს, მის სასურველ სამუშაოს, ის ამბობს: *„არ ჩავთვლი, რომ ის ამოვარდნილია იმ ჩემი ცხოვრების კალაპოტიდან და იმ დროიდან. მაგრამ... იმას სიყვარულით კი ვაკეთებდი მარა ჩემი ნაწილი არ იყო“.* ბოლოს, ის კვლავ უბრუნდება მხატვრობას, ამჯერად როგორც ხატვის პედაგოგი და ამას მნიშვნელოვან აღმოჩენად აღიქვამს, მისთვის ბავშვი ხდება ყველაზე

ISSN2667-9825(online)

საინტერესო არსება, რომელთან მუშაობაშიც ყველაფერს დებს, რომელსაც უზიარებს და აზიარებს ხელოვნებას: *„მერე მივხვდი, რომ ეს გარემო უფრო მთავარია. ანუ როცა რაღაცას აკეთებ, სიყვარულით კი აკეთებ, მაგრამ შენი ნაწილი უნდა იყოს. იმას სიყვარულით კი ვაკეთებდი, მაგრამ ჩემი ნაწილი არ იყო“.*

მხატვრობის განსაკუთრებული წვლილი ზურას ცხოვრებაში ასევე დევს ურთიერთობების თემაში. სიყვარულის თავში მან მოჰყვა, რომ მხატვარი შეიყვარა და ცოლად მოიყვანა. ოჯახში მისი ორივე შვილი ხატავს, ერთ-ერთმა კი მამის ნახატი სხეულზე დიდ ტატუდ აისახა და მიუხედავად უკმაყოფილოდ გაოცებისა, ამბობს: *„შენს ნახატს რომ შენი შვილი დაიხატავს, ხედავ, როგორ უყვარხარ და როგორ აფასებს შენს შემოქმედებას“.* მეგობრობის, სულიერებისა და ახალი გამოწვევების თემა მან გააერთიანა ერთ ისტორიაში, როდესაც, რესპონდენტის თქმით, ღმერთმა ინება და მხატვარს ტაძრის მოხატვის გამოცდილება მიაღებინა, სადაც ახალი ადამიანები გაიცნო და რომლებიც ძალიან დიდი მეგობრები არიან დღემდე. მან ქეიფის თემაც გამოყო, რომლის თანახმად, ქეიფი, ასევე, მნიშვნელოვანია ურთიერთობებისთვის, მაგრამ მხატვრობისგან აცალკევებს: *„მხატვრობაში არ არსებობს მთვრალმა დახატოს ნახატი. ეგ არის გამორიცხული და, ისა, ფიროსმანი სვამდაო და მთვრალი იყო და ისე ხატავდა. გამორიცხულია, რომ დათვრეს ადამიანი, რამე დახატოს“.* კიდევ ერთი ისტორია, სადაც ხატვასა და ცხოვრებას შორის მჭიდრო კავშირი ჩანს, შეეხება იმას, რომ საჭიროა, კარგად იცოდე რასაც ხატავ, რომ არ შეცდე: *„დათოხვნა და დაბარვა თუ არ იცი და არ დაგიბარია ცხოვრებაში და არ იცი, როგორ უნდა დაიჭირო ეს ბარი, ვერ დახატავ. ერთმა დახატა მთიბავები და ყველას მარცხენა ხელში დააჭერინა ცელი. და ცაცია ცელი არ არსებობს“.*

ბოლოს, რა საკვირველია, ისევ ბავშვების თემას უბრუნდება, რომელიც მისი აწმყო ცხოვრების, ყოველდღიურობის ძირითად ნაწილს გულისხმობს. ეს არის მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი თავი, რომელიც ხშირად უკავშირდება სხვა თემებსაც და რომელიც ჯერ არ დახურულა. ამ თემაზე საუბრობს როგორც დამოუკიდებელ ფასეულობაზე და მოჰყავს ციტატა: *„პიკასომ თქვა ეგეთი რამე რა, ვერ გახდები მაგარი მხატვარი, თუ ბავშვობიდან გამოხვალ. აი, ბავშვი, ბავშვად უნდა დარჩე, რომ იყო მაგარი“.* ასევე, ის აკავშირებს ამ თემას პედაგოგობასთან: *„ყველა ხომ კარგი ადამიანი გამოდის, მაგაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ შემოქმედებითად რომ იზრდება ის ბავშვი, მაგარი ხდება, მერე უკვე შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე, მაგრამ არ გავჩერდები ამით“.* საინტერესოა, რომ პედაგოგობაც და ხატვაც ზურასთვის ერთსა და იმავე როლს თამაშობს, ძნელია იმის თქმა, რომელია მისი მთავარი გატაცება, რადგან თავადაც არ გამოარჩევს რომელიმე ერთს.

ISSN2667-9825(online)

გოჩას ნარატივი

რაც შეეხება მეორე რესპონდენტს, გოჩას (სახელი პირობითადაა შერჩეული), ის თავისი ცხოვრების ისტორიას არ იწყებს ბავშვობიდან, არამედ ამბობს, რომ: *„ჯერ დავიწყებდი პირველი თავით, იმით, თუ როცა გაჩნდა კითხვები და გაჩნდა... ანუ მე როცა დავინახე ჩემი თავი“,* რაც, მისი აზრით, სულაც არ ხდება ბავშვობაში, რადგან ცხოვრების ამ ეტაპზე ადამიანები არ არიან საკმარისად ჩამოყალიბებული იმისთვის, რომ შორიდან შეხედონ თავიანთ მეს და შეძლონ მისი აბსოლუტური გააზრება. როგორც ის ამბობს: *„ბავშვობაში ვერ ვხედავთ ჩვენ თავს, უბრალოდ ვცხოვრობთ ძაან მარტივად, კარგად, არ ვიცით საერთოდ არაფერი, მივყვებით რაც გვეძლევა“.* ის თავის ისტორიას იწყებს თავით, რომელშიც არ მოგვითხრობს ბავშვობაზე ან რომელიმე კონკრეტულ ეტაპზე, არამედ ის იწყებს თავის ამბავს ისეთი ზოგადი საკითხით, როგორიცაა კითხვები. სიტყვები, როგორიცაა: *„მე რაც მახსოვს, ბავშვობაში არ ვიცი ნუ რაღაცეები, მე ვფიქრობ, რო არსებობდა, დიდი, ოღონდ, ეს განცდაში არ მაქ“,* წარმოაჩენს მის დამოკიდებულებას ბავშვობისადმი, მის რწმენას, რომ ეს ეტაპი ნამდვილად არ არის უმნიშვნელო და ამ დროს ხდება რაღაც ისეთი, რაც მოქმედებს, აყალიბებს ადამიანს. ის თავის ამბავს იწყებს კითხვების დასმის ეტაპით. ამ და ინტერვიუს შემდეგ მონაკვეთებში ცხოვრების ეტაპები თავებად არ განიხილება, სამაგიეროდ მხატვარს მოაქვს ზოგადი კატეგორიები და ის ამბობს: *„იქიდან დავიწყებდი, როცა მე დავიწყე, რაღაცნაირად, ჩემს თავზე დაკვირვება, ანუ დავსვი კითხვა, რა ხდება, რა მინდა, რატო, რისთვის“.* აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მისთვის მთავარია არა კითხვებზე პასუხების მიღება, არამედ ამ კითხვების არსებობა, მათზე ფიქრი და ამით ცხოვრება.

ინტერვიუს შემდეგ ნაწილში ის საუბრობს შეცდომაზე და მისთვის ეს არის ახალი თავი, მისი ცხოვრების ისტორიიდან. თუმცა ამ მონაკვეთს არ უთმობს ძალიან დიდ დროს, არ გვეუბნება, თუ რას მიიჩნევს შეცდომად. ერთი მხრივ, აღიარებს ამ შეცდომების სირთულეს და, მეორე მხრივ, გაურბის მათზე თხრობას, თემის გაშლას, იმაზე საუბარს, რატომ აირჩია ეს და არა რაიმე სხვა მისი ცხოვრების ისტორიის მეორე თავად.

ამის შემდეგ გოჩა გვიყვება ცხოვრების ეტაპზე, რომელსაც შემდეგნაირად აღწერს: *„არის ეგ მომენტიც რო, უბრალოდ ვართ... ამ უბრალოდ ვართში ვგულისხმობ, ფიქრის გარეშე ვაკეთებთ რაღაცებს, ვამბობთ რაღაცებს, ვცხოვრობთ, და თითქოს მერე, მერე ხვდები რაღაცეებს“.* ის მიიჩნევს, რომ ეს ეტაპი იმსახურებს მისი ცხოვრების წიგნის ერთი თავის დათმობას და, ამავდროულად, პარალელს ავლებს ხელოვნებასთან, უფრო სწორად ხატვასთან. როგორც ის ამბობს, ხატვის პროცესი ძალიან ჰგავს ამ თავის შინაარს, იმ თვალსაზრისით, რომ არც ერთი და არც მეორე არ არის რაღაც სტრუქტურირებული, არ არის ბოლომდე გაცნობიერებული, გააზრებული და ორივე შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, მოგვიანებით ხდება მისი ანალიზი, გაშინაგნება: *„ხატვას ძალიან ვამსგავსებ მაგ რაღაცას, ანუ... უბრალოდ*

ISSN2667-9825(online)

ხატავ, აკეთებ, არ იცი რატო გინდა, ანუ პასუხები არ არსებობს და რო გააკეთებ მერე, რაღაც პერიოდის მერე, შეიძლება იყოს ერთი დღე, ერთი თვე, ერთი კვირა, არ ვიცი, შეიძლება, მეტიც. მერე ხვდები რატო გავაკეთე“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გოჩა ამ ერთგვარ „გაუგებრობის ეპიზოდს“ არ გამოყოფს ცალკე და ამავე თავის დასასრულს გვიყვება, თუ როგორ სრულდება ეს ეტაპი, როგორ ხდება ამ გზაზე დასმული კითხვებისთვის პასუხის გაცემა, ანუ აქვე გვაცნობს „ქვეთავს“, რომელშიც ამბობს: *„მერე ხვდები, რატო გავაკეთე. თურმე მანდ ვყოფილვარ, მაგ მდგომარეობაში ვყოფილვარ“.* მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამავე ნაწილში აერთიანებს მსჯელობას სიმყარეზე, რაც ერთგვარად გვიჩვენებს მის მისწრაფებას სტაბილურობისკენ.

ამის შემდეგ ის იწყებს „გამოცდილების, ანუ განცდების“ თავს, როგორც მას თავად რესპონდენტი უწოდებს. მისი მსჯელობა ამ ნაწილში შემდეგი იდეის მატარებელია: ხშირად მხოლოდ მას შემდეგ ვამჩნევთ რაღაცებს, როცა მათ ვკარგავთ. მისი აზრით, ადამიანები ვხედავთ ხოლმე რაღაცებს, რასაც სინამდვილეში ვერც კი ვამჩნევთ და მხოლოდ გვიან, როცა ჩვენი თვალთახედვიდან ქრება, ვაღიარებთ მის არსებობას, რაც შეგვიძლია, განვიხილოთ, როგორც თავად მხატვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცდილება, ვინაიდან სწორედ ამ ნაწილში ისურვა ყოველივე ამაზე მსჯელობა.

გასათვალისწინებელია, მისი ძაღლთან დამოკიდებულებაც, რადგან მასზე საუბრისას, რესპონდენტი ამჟღავნებს ერთგვარ „კეთილ შურს“ ძაღლის სილაღის, თავისუფლების მიმართ. ძაღლი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სწორედ მას (ძაღლს) ეხება ამ ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტიც, რაც ჩანს ნამუშევარშიც, რომელიც მან წარმოგვიდგინა.

გრძნობები, სწორედ ესაა შემდეგი თავი და აქ კარგად ჩანს ემოციური მხარე, ის, თუ რამდენად მნიშვნელოვნად აღიქვამს ამ ყველაფერს. რამდენად გადამწყვეტ როლს თამაშობს მის ცხოვრებაში გრძნობები, გვიჩვენებს ფრაზაც: *„როგორც ვგრძნობთ თავს, იმას ვხედავთ. თუ კარგად ხარ და ძალიან ბედნიერი ხარ, არ არსებობს რო ცუდი დაინახო, სულ რო ცუდი, მართლა ცუდი ხდებოდეს.“*

გოჩა კიდევ ერთ თავს გამოყოფს, რომელშიც საუბრობს ეჭვებზე საკუთარი თავის მიმართ, იმაზე, თუ რამდენად არ ვენდობით ხოლმე ადამიანები საკუთარ თავს. ეს მონაკვეთი: *„რო დაიჯერო შენი რაღაცეების, ანუ ეჭვი არ შეიტანო, იმიტომ, რომ, ჩვენ ადამიანები კონკრეტულად ეჭვიანები ვართ ჩვენი თავის მიმართ და სულ ეჭვი გვაქ და გვჭირდება სხვა ადამიანები“,* ხაზს უსვამს მისსავე დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისა და მათი აზრისადმი.

როგორც ის ამბობს, ყველაზე გრძელ თავს დაუთმობდა იმ მდგომარეობის აღწერას, რომელსაც ის აღწერს ასე: *„მიაღწიო იმ მდგომარეობას, როცა... აღარ დაგჭირდება*

ISSN2667-9825(online)

მტკიცებები რა, სულ მუდმივად“ რაც მხატვრის მიზანს, მისი ცხოვრების ისტორიის ძირითად ფასეულობას, ამჟღავნებს.

აქვე, გოჩა თავისი ცხოვრებიდან ორ ყველაზე რთულ მომენტს იხსენებს, რომელიც არის კიდეც ასახული მის ნახატში, შესაბამისად, ამაზე დაწვრილებით ვიზუალურ ანალიზში ვისაუბრებთ, ხოლო სულ ბოლოს, უნდა ვთქვათ, რომ მხატვარი საკუთარი ცხოვრების ისტორიას ასრულებს შიშებზე საუბრით, რაც ერთგვარად, ისევ მისი მძიმე გამოცდილებებისა და ცხოვრებისეული მიზნების გამოძახილია: *„შიში იმდენად ძლიერი რაღაცაა, წარმოიდგინე, ყველაზე ძან რაც არ გვინდა იმაზე ვფიქრობთ ხოლმე“.*

ვიზუალური ნარატივის ანალიზი

ინტერვიუს ამ ნაწილში რესპონდენტებმა განსხვავებულად გაგვაცნეს თავიანთი ნამუშევრები. გოჩამ მოგვაწოდა წინასწარ შერჩეული და მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი, რომელზეც ფართოდ გვესაუბრა და თავადვე დააკავშირა თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდთან. ამის საპირისპიროდ, ზურამ ინტერვიუს მსვლელობისას გადახედა სახელოსნოს კედლებს და შეგვირჩია მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხუთი ნახატი, რომლებზეც ცოტ-ცოტა გვესაუბრა.

გოჩას შემოქმედება

გოჩას მიერ წარმოდგენილი ნახატი (იხ. დანართი 2.1) პირდაპირ პასუხობს წინამდებარე კვლევის კითხვას, თუ რა როლს თამაშობს შემოქმედება მხატვრის ცხოვრებაში. მას არ უთქვამს, გააჩნია თუ არა ამ ნამუშევარს დასახელება, თუმცა ინტერვიუსთვის შერჩეული ნახატი უკავშირდება იმ პერიოდს, რომელიც იყო განხილული, როგორც ყველაზე მძიმე გამოწვევა მხატვრის ცხოვრებაში. ამ გამოცდილებასთან დაკავშირებული ერთიანი განწყობა გადმოიცემა ნამუშევრის კოლორიტით: მუქ და შავ ტონებში შესრულებული მონასმები ღრუბლიანობისა და წვიმის შთაბეჭდილებას ქმნის. საინტერესოა, რომ საყვარელი ცხოველის, ძაღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ნარატივი ასახულია ნამუშევრის მხოლოდ ქვედა ნახევრის ნაწილში (იხ. დანართი 2.2). ეს არის ეპიზოდი, როდესაც მხატვრის მიერ საკუთარი თავის აღქმა რამდენიმე, კონკრეტულად კი ოთხ „მედ“ დაიყო: *„ჩემი ის თავი თითქოს დაიყო რაღაცნაირად და ნუ ყველაფერი ერთად მოთავსდა“.* ამ პიროვნებებს შორის ერთი „მე“ ისაა, ვინც ცდილობდა წარსული მომენტისა და კარგი მოგონებების დაჭერასა და დაბრუნებას; მეორე „მე“ შიშით არის შეპყრობილი,

ISSN2667-9825(online)

ეფარება რა კედელს და მის იქეთ იყურება; მესამე „მე“ არის სინათლისკენ შებრუნებული, რომელიც განაგრძობს გზას და ამიტომაც არის „სწორი“.

> *„ჩემში რაღაცას ძალიან უნდოდა რომ დაებრუნებინა ეს ყველაფერი, ანუ რაღაცის დაჭერას ცდილობს, იმ ჯექსის ენერგიის, თუ რაც გინდა, დავარქვათ. უბრალოდ იმ მომენტის რაც იყო, რაც ძაან კარგი იყო, ანუ წარსული უნდოდა. არის რაღაც, რომელსაც ეშინოდა, რაღაც იქიდან იყურება, ჩემში რაღაცა, არ ვიცი. ჩემი ის თავი თითქოს დაიყო რაღაცნაირად და ნუ ყველაფერი ერთად მოთავსდა. და ერთი პიროვნება, რომელიც სინათლისკენ არის. ანუ, წასვლისკენ არის, ანუ უფრო სწორი. სწორში იმას ვგულისხმობ, რო ეს ყველაფერი დარჩა და შენ განაგრძე გზა. და სინათლით ისევ ერთი პიროვნება, რომელსაც ის იმედი, ის რაღაც, რომ წადი სინათლისკენ, რა, გააგრძელე გზა“.*

ის, რომ გოჩას მიერ მესამე, სინათლისკენ შეტრიალებული პიროვნება აღიქმება როგორც „სწორი“, თავად ნამუშევარშიც ამოიკითხება. ოთხივე პიროვნება ერთმანეთთან წვრილი ხაზებით არის დაკავშირებული, თუმცა ისინი არ კრავენ წრეს, სადაც ყოველივეს თანაბარი მნიშვნელობა მიეცემოდა. ამის მაგივრად ყველა მონასმი მიედინება მესამე პიროვნებისკენ, თითქოს მხოლოდ ის უქმნის დასაბამს სხვა პიროვნებებს, ის არის ამ შემთხვევაში რეალური და მოქმედი პირი. ბოლო, მეოთხე პიროვნება, ამ ეპიზოდის მიღმა, სინათლეში დგას და წარმოადგენს მხატვრის მომავალ „მეს“, იმედს, რომელიც იძლევა ბიძგს. აშკარაა, რომ ნამუშევრის დახატვის დროს გოჩა ჯერ კიდევ გაურკვევლობაში იყო და ამაზე დამატებითად მეტყველებს ის დეტალი, რომ მესამე პიროვნება კედლის ჩრდილში მდგომი რჩება და ჯერ კიდევ არ გადაუდგამს ნაბიჯი სინათლის სხივების ქვეშ.

ნახატის ზედა ნახევარი, ლაბირინთისა და ცენტრში მჯდომი ადამიანის ნაწილი, ასახავს მხატვრის მიერ ზოგადად საკუთარი ცხოვრების გზის წარმოდგენებს. კვერცხის ნამსხვრევებითა და დაბადებით იქმნება ლაბირინთი, რომელშიც ადამიანმა უდნა გაიაროს: *„შენი დაბადება ქმნის იმ ლაბირინთს, სადაც ხარ. როგორც კი დაიბადე, ეს ლაბირინთი გაჩნდა, სადაც უნდა გაიარო“.* ცენტრში მჯდომი ფიგურა არის ის, რისკენაც ადამიანი მიისწრაფვის, მისი მთავარი იდეა, მისია ან საკუთარი თავის შექმნა, როგორც გოჩა განმარტავს. ამ დახასიათებით მხატვარი თავისუფლებას აძლევს მაყურებელს, არჩევანი გააკეთოს და თავად დაარქვას სახელი საკუთარ ცენტრალურ ფიგურას. რაც შეეხება ლაბირინთს, მასში მოცულია ყველაფერი ის, რაც ადამიანს შეიძლება დახვდეს ცხოვრების გზაზე, სადაც შეუძლია აღმოაჩინოს ახალი ან ხელისშემშლელი რამ, სადაც განაგრძობს ერთ მიმართულებას ან ცვლის მას. ლაბირინთის შიგნით არსებულ სხვა რეალობებზე, არსებებსა თუ ნივთებზე მეტყველებს კედელზე მცოცავი პატარა ლოკოკინა, რომელმაც დატოვა კედლის უკანა მხრიდან მომდინარე თეთრი ზოლი. ამ სხვა რეალობებზე თავად გოჩაც საუბრობს: *„შეიძლება შეგხვდეს ამ კედლებში, რავიცი, ანუ მაგაზეც შეიძლება*

ISSN2667-9825(online)

ნახატები გქონდეს დაკიდული, სადაც შეიძლება შეჩერდე ცოტახანი, დაგაფიქროს ან სწორი გზა გაჩვენოს, ან არასწორი".

ბოლოს, თუ ვიკითხავთ, რა ძალა აქვს ამ ნამუშევარს და რითი დაეხმარა ის თავის ავტორს რთულ პერიოდში, ამაზე პასუხი ზუსტად ისაა, თუ როგორ იკვრება ერთმანეთში როგორც აწმყო მძიმე გამოწვევა, ისევე ზოგადად ცხოვრების გზის განცდა, - ნამუშევრის ქვედა და ზედა ნახევრები. მხატვარმა ასახა საყვარელი ძაღლის გარდაცვალება როგორც ლაბირინთის ერთ-ერთი ოთახი, გზის მონაკვეთი, სადაც შეიძლება შეჩერდეს და სხვადასხვა რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს, თუმცა ის წარმოადგენს მისი ნარატივის მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდს. ნახატი ეხმარება მხატვარს ვალიდაცია გაუკეთოს, მიაღებინოს იმჟამინდელი გრძნობები და შინაგანი სამყაროს, დანაწევრებული „მეს" განცდა იმ სახით, როგორც იყო: „აი ზუსტად ეგ არის, რომ, აი, მიღება. და უყურებ და თუ რაღაც ხდება, მაგალითად, სულ მიტოვებს განცდას, რომ მიიღე რა, მიიღე და გააგრძელე. იმედს მაძლევს რაღაცნაირად". დასრულებული ნამუშევარი დაანახებს მხატვარს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება, რაც შეიძლება აღმოჩნდეს მეტი ინფორმაციის მომტანი, რადგან აზრებისა და სასაუბრო ენა უფრო დანაწევრებული და მოცულობით შეზღუდულია, ხოლო ვიზუალური სახის მიცემისას ადამიანს ეძლევა საშუალება, დაინახოს ერთიანი სურათი მისი ყველა დეტალით და ამ დეტალების მნიშვნელობითი წონა: *„ადამიანი რო დაინახავს საკუთარ მდგომარეობას".* გარდა ამისა, რესპონდენტმა აღნიშნა ხატვის პროცესის განმანთავისუფლებელი ფუნქცია, როდესაც შემოქმედება დაგროვილი ემოციების გამოხატვის საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს თვითგამოხატვისა და გაზიარების სხვა საშუალებები.

ზურას შემოქმედება

ზურა სულაკაურის თქმით, მისი ნამუშევრები მისი შვილებია და მათგან ამორჩევას ვერ შეძლებს, ამიტომაც შემოგვთავაზა თავისი ხუთი ნახატი. თუმცა პირველი, რომელზეც მან დაიწყო საუბარი, არის მისი ავტოპორტრეტი სახელწოდებით „ანზურას სიზმრები" (იხ. დანართი 3.1). მხატვრის თქმით, თავდაპირველად მან მეგობრის ლექსი წაიკითხა, რომელმაც შემდგომ შთაგონება და ინსპირაცია მისცა და დანარჩენი თავად დაიხატა.

> *„ერთმა მეგობარმა დაწერა რაღაცა ლექსი. ოღონდ თავი არ მოჰქონდა იმისთვის, რომ პოეტი ვარ და რაღაცა. ერთობოდა რა. ამ მეგობრის ნამუშევრებს რომ ვკითხულობდი, იდეები წამოვიდა. წამოვიდა - დავხატე ეს ნახატი. ანზურას სიზმრები ჰქვია. თვითონაც ანზურას სიზმრები დაარქვა (მცირედ იცინის) თავის პოეზიას და, რა ესიზმრებოდა არ ვიცი, მაგრამ ჩვენც ეგეთი, მეც ეგეთი სიზმრები ვნახე".*

ISSN2667-9825(online)

რესპონდენტმა არ მოისურვა, ვრცლად ესაუბრა ამ და სხვა ნამუშევრებზე და ამის საპირისპიროდ მაყურებელს უტოვებს ფართო სივრცეს მსჯელობისთვის. წინამდებარე კვლევის ორივე მხატვრის შემთხვევაში ჩანს, რომ ნამუშევარი იხატება მაყურებლისა და მისი დამოუკიდებელი მსჯელობისა თუ განცდების დაშვებით, რაც თავისებური კომუნიკაციის სახეს იღებს, იმის მიუხედავად, განვითარდება თუ არა რეალური სიტყვიერი დიალოგი მხატვარსა და მაყურებელს შორის.

კონტექსტს თუ გავუყვებით, რესპონდენტის ეს ნამუშევარი 1994-1995 წლებს, როგორც მან აღნიშნა, ბნელი ოთხმოცდაათიანების პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ის ჯერ კიდევ არ დაუბრუნდა სავსებით ხატვასა და პედაგოგობას და 25 წლის ახალგაზრდა იყო. მას ბევრი ნამუშევარი გაუჩუქებია, გაუყიდია, თუმცა ეს და სხვა მნიშვნელოვანი ნახატები რომ არ გაეცა, თავის ცოლს აჩუქა: *„რომ არ გამეყიდა, გამეჩუქებინა, ავდექი და ცოლს ვაჩუქე. ყველაზე კარგი გამოსავალი“.* შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს ნამუშევარი მისთვის ფასეულია, არის თავისთვის ხატვა, რასაც ნაკლებად ახერხებდა იმ პერიოდისთვის. მეორე მიზეზი არის ის, რომ ეს ნამუშევარი მეგობარს უკავშირდება, რადგან მის მიერ შერჩეული ოთხი გრაფიკული ნამუშევრიდან ორი ცალი სწორედ მეგობრებთან ურთიერთობებს ეხება. ბოლოს, ეს ნამუშევარი ერთ-ერთია მის გვერდით დარჩენილი ათწლეულების მანძილზე.

როგორც აღვნიშნეთ ცხოვრების ისტორიის ნაწილზე საუბრისას, ამ ავტორისთვის დამახასიათებელია ილუზიებისა და მეტაფორების გამოყენება. ასეთი ხერხი აძლევს მხატვარს საშუალებას გამოაცალკევოს ელემენტები, ერთმანეთთან დააკავშიროს, პირდაპირ ასახოს სათქმელი და ამავე დროს ორმნიშვნელოვანი გახადოს. ზოგადად, რაც ამ რესპონდენტის ყველა ნამუშევარში შეიმჩნევა, ის მიისწრაფვის შევსებისკენ, დასრულებულობისკენ, რაც დეტალების სიუხვითა და ცარიელი ნაწილის დაფარვით მიიღწევა. მისი შემოქმედების სხვა დამახასიათებელი ნიშნებია გეომეტრული ილუზიები და მზერის გამოსახულებები.

მხატვრის თხოვნით, ჩვენ დავურთეთ მისი სხვა ნამუშევრები ჩვენს ნაშრომს (იხ. დანართი 3.2-3.5), ხოლო მათზე მსჯელობა არის იმ თავისუფლების ნაწილი, რომელსაც ასე აფასებენ ჩვენი რესპონდენტები.

კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედი რესპონდენტების ჩანაწერებსა და ნამუშევრებზე მუშაობა ძალიან საინტერესოა, ჩვენთვის ეს იყო საკმაოდ რთული სამუშაო, გაგვეანალიზებინა ჩვენს ხელთარსებული ვიზუალური და არავიზუალური მასალა სრულყოფილად, დაგვეკავშირებინა ისინი ერთმანეთთან ისე, რომ ეს არ ყოფილიყო მხოლოდ ჩვენი, მკვლევრების თვალით დანახული

ISSN2667-9825(online)

კავშირები. მიუხედავად მხატვრების მიერ ბევრი გამოთქმული მოსაზრებისა, სამწუხაროდ, ამ კვლევაში ვერ შევიდა მათი დიდი ნაწილი, რადგან შეუძლებელია, ერთი კითხვის ქვეშ გაერთიანდეს ამდენი ისტორია და მსჯელობა. ასევე, დიდ სირთულეს წავაწყდით უხვი ელემენტებისგან შემდგარი ნამუშევრის ანალიზისას, რომელზეც ავტორმა ნაკლებად ისაუბრა და თავისუფლება მოგვცა საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში, რაც კვლევის სისუფთავეზე იმოქმედებდა. ასევე, თუმცა რესპონდენტებმა თავად შეარჩიეს მათთვის კომფორტული დრო და გარემო, ინტერვიუს დროს ოთახში შემოსული პირები და ცხოველები შესაძლოა, ხელისშემშლელი ფაქტორი ყოფილიყო.

რეკომენდაციები

განსხვავებული თვალთახედვის დასაჭერად ლოგიკური იქნება მეტი მხატვარი რესპონდენტის ჩართვა, მათ შორის ქალებისა და უცხოელების. ასევე, საინტერესო იქნებოდა სხვადასხვა მიმართულებითა და მასალით მომუშავე ხელოვანების მოძიება, რაც, თავის მხრივ, ქმნის საჭიროებას მივიღოთ და გავითვალისწინოთ სპეციალისტის შეფასებები, რაც წინამდებარე კვლევასაც გაამდიდრებდა. ხელოვნების სხვადასხვა ასპექტზე ყურადღების გამახვილებით შესაძლებელია მეტი ახალი აღმოჩენის გაკეთება, შესაბამისად, ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ადამიანის ბუნების შესწავლაში.

დასკვნა

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, როგორი მრავალმხრივი ზეგავლენა აქვს მხატვრობასა და შემოქმედებას მხატვრის ცხოვრებაზე. ეს პროცესი შეიძლება იყოს ცენტრალური ღერძი, რომელზე შემდეგ დაშენდება ცხოვრების სხვა ასპექტები. მხატვრობა ქმნის მეგობრობის, სიყვარულის, ცხოვრების საზრისის, სულიერების ან ახალი ცოდნისა და გამოცდილების ძიების საფუძველს. მხატვრები შემოქმედებით თავიანთ ემოციებს გამოსახავენ, საუბრობენ საკუთარ თავთან და მაყურებელთან. ნახატი დაანახებს ავტორს მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება და არჩევანის გაკეთებაში ეხმარება. ნამუშევარი ინახავს ცხოვრების ეპიზოდებს და შეახსენებს მხატვრებს მათ შესახებ. ბოლოს, მხატვრობა არის საშუალება ჩასახო საკუთარი თავი სხვაგან და განაგრძო არსებობა დროის შეზღუდვების მიღმა.

ISSN2667-9825(online)

დიდ მადლობას ვუხდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალს კვლევის ჩატარების შესაძლებლობის მოცემისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ლილი ხეჩუაშვილს, რომლის წყალობით გახდა შესაძლებელი სრულყოფილი კვლევის ჩატარება და მისი შემდგომი დამუშავება.

ასევე დამატებითად ვუხდით მადლობას კვლევის მონაწილეებს, რომ მზად იყვენ გაეზიარებინათ თავიანთი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები და ნამუშევრები.

ISSN2667-9825(online)

გამოყენებული ლიტერატურა

Hanna, J. L. (2013). The Language of Dance. *Journal of Physical Education, Recreation & Dance*, 40-45. doi:https://doi.org/10.1080/07303084.2001.10605738

Jones, A. (2012). *Seeing Differently.* London. doi:https://doi.org/10.4324/9780203146811

Mattingly, C. (2002). *Healing Dramas and Clinical Plots: The narrative structure of experience.* Cambridge, UK: Cambridge University Press.

McAdams, D. P. (2001). The Psychology of Life Stories. *Review of General Psychology*, 100 - 122. doi:https://doi.org/10.1037/1089-2680.5.2.100

McAdams, D. P. (2006). The role of narrative in personality psychology today. *Narrative Inquiry*, 11-18. doi:https://doi.org/10.1075/ni.16.1.04mca

McFee, G. (2011). *The Philosophical Aesthetics of Dance: Identity, Performance, and Understanding.* Binsted, Hampshire: Dance Books Ltd.

Riessman, C. K. (1993). *Narrative Analysis.* London: SAGE Publications.

Riessman, C. K. (2008). *Narrative methods for the human sciences.* USA: Library of Congress Cataloging-in-Publication Data.

Ruud, E. (2009). Music and identity. *Nordic Journal of Music Therapy*, 3-13. doi:https://doi.org/10.1080/08098139709477889

Sartre, J. P. (1964). *The Words.* Éditions Gallimard.

Schouten, K. A., Niet, G. J., Knipscheer, J. W., Kleber, R. J., & Hutschemaekers, G. J. (2014). The Effectiveness of Art Therapy in the Treatment of Traumatized Adults: A Systematic Review on Art Therapy and Trauma. *Trauma, Violence, & Abuse*, 220-228. doi:https://doi.org/10.1177/1524838014555032

Schultz, W. T. (2021). *The Mind of the Artist: Personality and the Drive to Create.* Oxford, UK: Oxford University Press. doi:https://doi.org/10.1093/oso/9780197611098.001.0001

Webster, L., & Mertova, P. (2007). *Using Narrative Inquiry as a Research Method.* London. doi:https://doi.org/10.4324/9780203946268

Williams, W. R. (2019). Attending to the visual aspects of visual storytelling: using art and design concepts to interpret and compose narratives with images. *Journal of Visual Literacy*, 66-82. doi:https://doi.org/10.1080/1051144X.2019.1569832

ISSN2667-9825(online)

ხეჩუაშვილი, ლ. (2017). *ადამიანის ცხოვრების კვლევა და ნარატივის ანალიზი.*

ISSN2667-9825(online)

დანართი 1. ინფორმირებული თანხმობის ფორმა

თანხმობის შემთხვევაში თქვენ მონაწილეობას მიიღებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების კვლევაში, რომელიც ხორციელდება „ადამიანის ცხოვრების კვლევისა და ნარატივის ანალიზის“ კურსის ფარგლებში. კვლევა შეეხება მხატვრებში შემოქმედებითი საქმიანობის გავლენას ცხოვრებისეულ გამოცდილებზე.

არ მოგიწევთ არაფრის დაწერა, წაკითხვა ან ტესტების შევსება. დაგისვამთ რამდენიმე კითხვას თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ, რომელიც მაქსიუმუმ ორი საათი გაგრძელდება. კვლევითი მიზნიდან გამომდინარე, გვაინტერესებს თქვენი უნიკალური ცხოვრების ისტორია.

მოცემული კვლევის მიზანია, იკვლიოს ხელოვნების როლი მხატვრების ცხოვრებაში და შევისწავლოთ შემოქმედებასთან დაკავშირებული გამოცდილებები.

ინტერვიუს ხანგრძლივობიდან გამომდინარე მკვლევარი ვერ შეძლებს ყველაფრის დამახსოვრებას, ამიტომ აუცილებელია აუდიო ჩანაწერის გაკეთება.

ყველაფერი, რასაც იტყვით, ნებაყოფლობითი, ანონიმური და კონფიდენციალურია. არსად დაფიქსირდება თქვენი სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი ან სხვა ისეთი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნება თქვენი იდენტიფიცირება. ჩაწერილი ინტერვიუები შეინახება მკვლევართან და მას შემდეგ, რაც გადაიწერება ტექსტის სახით, აუდიოჩანაწერები განადგურდება.

ნებისმიერ დროს შეგიძლიათ თავი შეიკავოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან და ასევე, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ, უარი თქვათ კვლევაში მონაწილეობაზე.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისა და კვლევაში შეტანილი წვლილისთვის!

„გავეცანი ზემოთ აღნიშნულს და თანახმა ვარ, მონაწილეობა მივიღო კვლევაში.“

რესპონდენტის ხელმოწერა _____ თარიღი_____

ISSN2667-9825(online)

კვლევის კითხვარი

ნაწილი 1

1.1 გთხოვთ, წარმოიდგინოთ, თქვენი ცხოვრება წიგნი ან რომანია. წარმოიდგინეთ წიგნის სარჩევი, რომელშიც მასში აღწერილი ისტორიის ძირითადი თავების სათაურებია ჩამოწერილი. გთხოვთ, ძალიან მოკლედ ჩამოთვალოთ, რა თავები შეიძლება იყოს თქვენს წიგნში. თითოეული თავი დაასათაურეთ და ეცადეთ მოკლედ მომიყვეთ, რის შესახებ არის ის. რამედნიმე სიტყვით აღმწირეთ, როგორ გადავდივართ ერთი თავიდან მეორეზე. თქვენს სურვილზეა დამოკიდებული, რამდენი თავი იქნება ისტორიაში.

1.2 ახლა რამდენიმე კითხვას დაგისვამთ. ამ კითხვებზე სწორი და არასწორი პასუხები არ არსებობს.

1. უკან თუ მიიხედავთ და განვლილ ცხოვრებას გადახედავთ, რა მოვლენას გამოარჩევდით, როგორც უდიდეს გამოწვევას, რომლის წინაშეც ცხოვრებაში დამდგარხართ?

2. რა მნიშვნელობა/როლი აქვს ან რა ადგილი უკავია ამ გამოწვევას ან პრობლემას თქვენი ცხოვრების ისტორიაში?

ნაწილი 2

კითხვარის ამ ნაწილში რესპონდენტს ვთხოვთ გვაჩვენოს თავისი ნამუშევარი და მოგვიყვეს მის შესახებ. ჩვენი მიზანია მივცეთ მხატვარს თავისუფლება თხრობის პროცესში, ამიტომაც დავუსვამთ ერთ მთავარ შეკითხვას:

„მომიყევით ამ ნამუშევრის შესახებ“

ISSN2667-9825(online)

დანართი 2.1

დანართი 2.2

ISSN2667-9825(online)

დანართი 2.3

დანართი 3.1 „ანზურას სიზმრები“ და ავტოპორტრეტი.

ISSN2667-9825(online)

დანართი 3.2 „ეშერის ფაშიზმი“.

დანართი 3.3 „სამი მთვარე“ და ზურა წიკლაურის პორტრეტი.



ISSN2667-9825(online)

დანართი 3.4 „გამჭვირვალე მზერა“.

დანართი 3.5 „მგელი“.